



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 25 ნოემბერი, 2016 წელი

დრო: 14:30 – 16:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ოფისი (ყოფილი ევროპის სახლი)

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის ეროვნული კოორდინატორი, ლიბერალური აკადემია თბილისი
3. გიორგი კლდიაშვილი - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
4. ლია თოდუა - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
6. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერჯო- რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
7. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
8. ვლადიმირ ბოჟაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
9. მარიამ ოზაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო

10. ლაშა ბლიაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის წარმომადგენელი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

მოწვეული სტუმარი: ოლეგ შატბერაშვილი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის

განსახილველი საკითხები:

- ახალი წევრების მიღება;
- წესდებასთან დაკავშირებული ცვლილებები;
- სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საკოორდინაციო საბჭომ განიხილა გაწევრიანების მსურველი კანდიდატების აპლიკაციები. სულ შემოვიდა 7 აპლიკაცია. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სრულუფლებიან წევრებად მიიღოს შემდეგი ორგანიზაციები:

- ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
- განიარაღება და არაძალადობა
- სტუდია მონიტორი
- ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
- საქართველოს პროფესიული განათლების ფონდი
- საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია

ხოლო ორგანიზაცია: „კონკურენციის ცენტრი“ საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა ასოცირებულ წევრად. საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდების თანახმად: *პლატფორმის წევრობის მსურველი ორგანიზაცია რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტისთვის არაუგვიანეს 2 წლისა.* აღნიშნული ორგანიზაცია დაფუძნებულია 2015 წელს.

შემდეგ საკითხად, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა კახა გოგოლაშვილმა მოკლედ მიმოიხილა სამუშაო ჯგუფების მუშაობა და ჯგუფის კოორდინატორებს მოუწოდა შეხვედრების ჩატარებისკენ.

მეორე ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ლია თოდუამ ისაუბრა ჯგუფის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ინდივიდუალური შეხვედრების

შედეგების შესახებ. როგორც ქალბატონმა ლიამ აღნიშნა, იგი შეხვდა სულ 14 ორგანიზაციის წარმომადგენელს¹.

შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა ძირითადად რამდენიმე ტენდენცია:

- წევრ ორგანიზაციებს აქვთ, მოლოდინები, რომ პლატფორმაში გაწევრიანებით შესაძლებლობა ექნებათ გააძლიერონ უცხოური კონტაქტები და მოიპოვონ დაფინანსება საზღვარგარეთ არსებული დონორებისგან;
- გამოხატავენ მზაობას, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია წევრ ორგანიზაციებს შორის, რაც შესაძლებელია ერთობლივი ღონისძიებების, გასვლითი შეხვედრების დაგეგმვის გზით;
- გამოითქვა სურვილი, არსებობდეს დახურული გზამკვლევი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი წევრი ორგანიზაციების სამუშაო პროფილი და მითითებული იქნება მოქმედი საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საერთო თემატიკის მქონე ორგანიზაციებმა შეძლონ თანამშრომლობა და პროექტების ერთობლივად განხორციელება;
- წევრი ორგანიზაციები ასევე დაინტერესებულნი არიან, განხორციელდეს ტრენინგები/ სემინარები მათი შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის;
- აქვთ კონკრეტული წინადადებები პლატფორმის მუშაობის გაუმჯობესებისთვის, მათ შორის მინიმალური საწევრო გადასახადის შემოტანის გზით და სხვა.

პლატფორმის სამუშაო პროცესის გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებით, საბჭომ შემდეგ საკითხად განიხილა წესდებაში შესატანი წინადადებები. მოწვეულმა სტუმარმა ბატონმა ოლეგ შატბერაშვილმა ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში საქართველოს წარმომადგენლების შერჩევის პრინციპის შესახებ. ასევე, საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში კოორდინატორებად არჩევის წესის ცვლილების შესახებ და აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, უნდა არსებობდეს შესაბამისი კრიტერიუმები, მათ შორის, აუცილებელია, ერთ-ერთი იყოს სამუშაო ჯგუფებში დასწრების კრიტერიუმი, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ მსურველს ექნება შესაძლებლობა, წარდგეს კოორდინატორობის კანდიდატად.

საბჭომ, საკითხთან დაკავშირებით, მიიღო გადაწყვეტილება, სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე კოორდინატორებმა ერთ-ერთ განსახილველ საკითხად გაიტანონ პლატფორმის წესდების საკითხი, წინასწარ მიაწოდონ ჯგუფის წევრებს ინფორმაცია და სთხოვონ საკუთარი წინადადებების მომზადება.

საბჭომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება შემდეგი შეხვედრა ჩატარდეს ქ. გორში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალური წარმომადგენლები და შესაძლებლობა ექნებათ მოისმინონ მათი მოსაზრებებიც.

¹ შეირჩა ის ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლებიც არ დადიან (ან იშვიათად დადიან) ჯგუფის შეხვედრებზე, ან დადიან, მაგრამ არ გამოირჩევიან აქტიურობით.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე პლატფორმის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების საკითხზე. როგორც ბატონმა კახამ აღნიშნა, მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა. დღეის მდგომარეობით, კი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა ძირითადად დამოკიდებულია დონორებზე. ამავდროულად, საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდია სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსება ქვეყნის ბიუჯეტიდან. ბატონმა კახამ წარადგინა ინიციატივა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ შეიმუშავოს საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი და შესთავაზოს ხელისუფლებას.

პლატფორმის თავმჯდომარის ინიციატივამ საბჭოს წევრებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა ამ ტიპის დაფინანსებამ ექვეყნე დააყენოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დამოუკიდებლობის საკითხი.

შეხვედრის დასასრულს, ეროვნულმა კოორდინატორმა ბატონმა ლაშა ტულუშმა, ისაუბრა 22 ნოემბერს ჩატარებული კონფერენციის: „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ამოცანები“-ს შესახებ და აღნიშნა, რომ პლატფორმას შესაძლებლობა აქვს გააგრძელოს ადვოკატირების პროცესი და გამართოს სექტორალური შეხვედრები შესაბამის უწყებებთან. ბატონმა ლაშამ, სამდივნოს წარმომადგენლებს სთხოვა, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ პოლიტიკის დოკუმენტის ავტორებს, რათა მათ სამდივნოს შეატყობინონ მათი პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად პასუხისმგებელი სამინისტრო/უწყების დასახელება და მათთვის სასურველი შეხვედრის თარიღი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა